აკადემიური საბჭო
დადგენილება № 6-07

გორი 25 02 2022წ.

„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის N63 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (16.02.2022. N154393) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-66 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მექანიზმები“ ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

2. კანცელარიის უფროსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ დადგენილების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული:

ა) „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მექანიზმები“, გარდა ამავე მეთოდოლოგიის და მექანიზმების მე-9 პუნქტისა, ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე;

ბ) „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის და მექანიზმების“ მე-9 პუნქტი ამოქმედდეს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სახედ „უნივერსიტეტის“ განსაზღვრის შემდგომ.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მექანიზმები

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს სტუდენტთა იმ ოპტიმალური რაოდენობის დადგენის მიზნით, რომლისთვისაც უნივერსიტეტი თავისი რესურსების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების შესაძლებლობას.
2. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება ყოველწლიურად, მომდევნო აკადემიური წლისათვის;
4. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვასა და სათანადო სამიზნე ნიშნულის დადგენას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებს:
   - აქტიური და სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა;
   - დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა;
   - მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა;
   - უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში პროგრამაზე შემოსული (მობილობა, სტუდენტის სტატუსის აღდგენა) და პროგრამიდან გასული (სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, მობილობა) სტუდენტების რაოდენობები.
6. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა გულისხმობს აგრეთვე შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებას:
   - საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასთან, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზრებზე არსებული მოთხოვნები;
   - საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი), მატერიალური (ფართი, აუდიტორიები, ლაბორატორიები, პრაქტიკის ობიექტები და სხვ.), საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო რესურსებით და სტუდენტური მხარდაჭერის სერვისებით პროგრამის უზრუნველყოფის მდგომარეობა, პროგრამის ფინანსური მდგრადობა;

- ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში გამოკვეთილი ტენდენციები და უნივერსიტეტის საზოგადოებრივი და სოციალური პასუხისმგებლობები.
- საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობა.

7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფარდება პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან არ უნდა იყოს 1/40-ზე ნაკლები, ამასთანავე, მინიმუმ ორი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას;
8. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფარდება პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან არ უნდა იყოს 1/30-ზე ნაკლები, ამასთანავე, მინიმუმ სამი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის კვალიფიკაცია ან კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას;
9. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დოქტორანტის ხელმძღვანელისა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების თანაფარდობა არ უნდა იყოს 1/3-ზე ნაკლები; ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, რომლებსაც აქვთ დოქტორანტის ხელმძღვანელობისათვის საჭირო კვალიფიკაცია.
10. საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთა რაოდენობისათვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის მიუღწევლობის შემთხვევაში პროგრამაზე შესაძლებელია გამოცხადდეს სტუდენტთა გარე ან/და შიდა მობილობა არსებული ვაკანსიების ფარგლებში;
11. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.